

ოქმი #1
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ბიუროს მორიგი სხდომის

2019 წელი, 10 იანვარი
 ქ. ოზურგეთი
 12.00 – 14.00 საათი

თავმჯდომარეობდა: დ.დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე
ესწრებოდნენ: საკრებულოს ბიუროს წევრები: გ.ღურჯუმელიძე, ლ.საჯაია,
 ლ.ბიგვავა, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე, ბ.დოლიძე, ლ.მგელაძე,
 ე.გორდელაძე, შ.გოგობერიძე, დ.ჭაკნელიძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, მასმედიის წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა ბიუროს წევრებსა და დამსწრეთ, მიულოცა დამდეგი კალანდა, მიაწოდა ქვორუმზე ინფორმაცია, 15 წევრიდან სხდომას ესწრება 11, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1., „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

დარგობრივი მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ ბიუროს გააცნო კომისიის მიერ შემუშავებული დასკვნა, რომელშიც წარმოდგენილი შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ, ბიუროს წევრთა გადაწყვეტილებით, კორექტირებული პროექტი წარედგინება საკრებულოს მორიგი სხდომას დასამტკიცებლად.

საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ -გ.ღურჯუმელიძემ გამოთქვა აზრი წესის მე- 15-ე მუხლის დაკონკრეტების აუცილებლობის თაობაზე.

2., ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული (ს/კ 26.26.46.142) ქ. ოზურგეთში ვ. დოლიძის ქუჩაზე მდებარე 380 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

ბიურომ გაითვალისწინა დარგობრივი კომისიის თავმჯდომარის გ. კილაძის აზრი, საკითხი ჯეროვნად შესწავლისა და დასკვნის მომზადების მიზნით, არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში.

3. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

შეტანილ იქნა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

ამასთან, ამ საკითხის განხილვისას საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ - გ. ლურჯუმელიძემ განაცხადა, რომ შესაბამის კომისიასთან შეთანხმებით უმჯობესად იქნა მიჩნეული ყველა მომდევნო ნუსხის შემოტანისას პროექტი წარმოდგენილ იქნას არსებულ განკარგულებაში ცვლილების შეტანის სახით.

4. ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ. ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

აღნიშნული საკითხი შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“- ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვისა და შემდგომი პროცედურების განსაზღვრის თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

შეტანილ იქნა საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში საჯარო ადმინისტრაციულ წარმოებაზე დაყენების მიზნით.

6. სოფელ შემოქმედში საზოგადო მოღვაწეთა პანთეონის დაარსების თაობაზე შემოსული პეტიციის შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: ნანული ჭანუყვაძე

ამ საკითხზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, რეაგირებისათვის პეტიცია გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას და განსახილველად და დასკვნის წარმოსადგენად დაეწეროს დარგობრივ კომისიას (ე.გორდელაძე).

გადაწყვეტეს:

- 1.საკრებულოს ბიუროს დღის წესრიგში გათვალისწინებული N1,3,4,5 საკითხები გამოთქმული შენიშვნების გათვალისწინების შემდეგ შეტანილ იქნას საკრებულოს მორიგი სხდომის დღის წესრიგში.
2. N2- საკითხი არ იქნას შეტანილი საკრებულოს სხდომის დღის წესრიგში, მიეცეს დამატებითი დრო განსახილველად და დასკვნების წარმოსადგენად დარგობრივ კომისიას. (გ.ვილაძე).
- 3.პეტიცია კანონმდებლობის შესაბამისად რეაგირებისათვის გადაეგზავნოს მუნიციპალიტეტის მერიას(კ.შარაშენიძე) და დაეწეროს განსახილველად დარგობრივ კომისიას(ე.გორდელაძე).
4. საკრებულოს მორიგი სხდომა გაიმართოს მიმდინარე წლის 15 იანვარს 11.00-საათზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო